აფაზიის მქონე პირთა სოციალურ-კომუნიკაციური გამოწვევები: ოჯახის წევრთა პერსპექტივის კვლევა

ია შუბლაძე

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა გაბაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2025

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ია შუბლაძე 19/06/2025

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს აფაზიის მქონე პირთა სოციალური და კომუნიკაციური გამოწვევების კვლევას მათი ოჯახის წევრების პერსპექტივიდან. კვლევა ემყარება მოსაზრებას, რომ ვერბალური კომუნიკაციის დარღვევა, როგორიცაა აფაზია, გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდზე, არამედ მის სოციალურ გარემოზეც. კვლევა ცდილობს გააანალიზოს, როგორ აღიქვამენ ოჯახის წევრები კომუნიკაციის სირთულეებს, რა სტრატეგიებს იყენებენ ურთიერთობის დასამყარებლად და რა საჭიროებებს გამოყოფენ რეაბილიტაციის პროცესში.

კვლევა წარმოადგენს თვისებრივი კვლევის დიზაინზე დაფუძნებულ ნაშრომს და იყენებს ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუს, როგორც მონაცემების შეგროვების ძირითად მეთოდს. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა თემატური ანალიზის მეთოდით, რამაც შესაძლებელი გახადა საერთო თემებისა და ტენდენციების იდენტიფიცირება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო შვიდმა რესპონდენტმა, რომლებიც არიან აფაზიის მქონე პირების ოჯახის წევრები და აქტიურად არიან ჩართული კომუნიკაციასა და ზრუნვის პროცესში. შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით.

კვლევა შედეგად გამოიკვეთა აფაზიის მქონე პირთა ოჯახის წევრების მიერ აღქმული ძირითადი სირთულეები, მათ შორის: სირთულეების ყოველდღიურ კომუნიკაციაში, სოციალურ, ემოციურ სფეროსა და ინფორმირებულობაში. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია შეიძლება პრაქტიკულად გამოიყენებული იქნას აფაზიის მქონე პირთა რეაბილიტაციის სისტემური გაუმჯობესებისა და ოჯახის წევრთა განათლებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის.

საძიებო სიტყვები: აფაზია, აფაზიის შემდგომი რეაბილიტაცია.

Abstract

This study aims to explore the social and communicative challenges experienced by individuals with aphasia from the perspective of their family members. It is based on the premise that verbal communication disorders, such as aphasia, affect not only the individual but also their immediate social environment. The research attempts to analyze how family members perceive communication difficulties, what strategies they adopt to maintain interaction, and what needs they identify throughout the rehabilitation process.

The study employs a qualitative research design and utilizes semi-structured interviews as the primary method of data collection. The data were analyzed using thematic analysis, which enabled the identification of key themes and recurring patterns.

Seven participants took part in the study — all family members of individuals with aphasia who are actively involved in their care and communication. Participants were selected through purposive sampling.

The findings reveal several major challenges as perceived by caregivers, including barriers in daily communication, emotional and social strain, and limited access to information. The results of this study may inform practical approaches for improving systemic rehabilitation services for individuals with aphasia and guide policy aimed at caregiver education and support.

Keywords: Aphasia, post-aphasia rehabilitation, social-communicative barriers